წინასიტყვაობა

ძვირფასო ახალგაზრდებო!

თქვენს ხელთაა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ცნობარი.

ცხადია, თქვენ ბევრი რამ იცით ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ ნაკლებად იცნობთ ცალკეული ფაკულტეტების მუშაობას, მათ პერსპექტივებს და მიდგომებს თანამედროვე სწავლების პროცესების მიმართ. ამჟამად გთავაზობთ ცნობარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შესახებ, რაც საშუალებას მოგცემთ გაეცნოთ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის დაარსების მოკლე ისტორიას. ასევე თუ რას წარმოადგენს სტუდენტებისათვის ფაკულტეტი დღეს, რა თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამებს, რა სპეციალობებს სთავაზობს, რა პერსპექტივებს, რა გზებს უხსნის?

ამ და მრავალ სხვა კითხვაზე პასუხს ამ ცნობარში იპოვით.

გისურვებთ წარმატებებს!!!

1918 წელს კავკასიაში პირველი უნივერსიტეტი გაიხსნა, სადაც ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით საფუძველი ჩაეყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას. მისი დაარსება საქართველოსათვის ეპოქალური მოვლენა იყო, პირველი ქართული უნივერსიტეტი თავისუფალი საქართველოს სიმბოლო გახდა.

უზარმაზარია მისი დამაარსებლის, ივანე ჯავახიშვილის, ღვაწლი ქვეყნის წინაშე, რადგან მის მიერ ჩაგდებული მარცვალი გაღვივდა და დღესაც, უნივერსიტეტი საქართველოში განათლების, მეცნიერების, თანამედროვე საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი კერაა.

რას წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს, რა საგანმანათლებლო პროგრამებს, რა სპეციალობებს სთავაზობს, რა პერსპექტივებს, რა გზებს უხსნის სტუდენტებს?

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შვიდი ფაკულტეტია:

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა;
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა;
3. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა;
4. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა;

5. ეკონომიკისა და ბიზნესის;
6. იურიდიული ფაკულტეტი;
7. მედიცინის ფაკულტეტი.

დიდი ილია ამბობდა: *„ყველაზე ძნელი ადამიანისათვის ცხოვრების საგნის პოვნა და აჩენაა“* და სწორედ ჩვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია გამოგადგებათ, რათა უკეთ წარმოიდგინოთ თქვენი მომავალი, გაცნობიერებულად აირჩიოთ პროფესია და სასწავლებელი, სწორად შეაფასოთ თქვენი შესაძლებლობები და კარიერული პერსპექტივები.

კარიერული წარმატება კი ძალზე მნიშვნელოვანია – წარმატებული ახალგაზრდა სპეციალისტი ქვეყნის წარმატების საწინდარია. ამიტომ, გვინდა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს გაგაცნოთ უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო განათლების მნიშვნელობა, დაგეხმაროთ თქვენი მომავალი სპეციალობის სწორად შერჩევაში.

თქვენ მალე დამოუკიდებელ ნაბიჯებს გადადგამთ ცხოვრებაში, დღევანდელი ცხოვრება კი რთულია და მრავალ მხარეს მოიცავს – პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სამართლებრივს, იდეოლოგიურს და ა.შ. ამათგან რომელია მთავარი? რომელია ქვეყნის, საზოგადოების და, რაც მთავარია, შენი ცხოვრების განმსაზღვრელი? ყველა ჩამოთვლილი ასპექტი უმნიშვნელოვანესია, მაგრამ, ცხადია, რომ ადამიანთა ფიზიკურ არსებობას და მატერიალურ კეთილდღეობას ეკონომიკა უდევს საფუძვლად, ამიტომაც სასურველია გაერკვეთ პრაქტიკული და მეცნიერული საქმიანობის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში.

მინდა გითხრათ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ფაკულტეტებიდან, მნიშვნელოვანია ისეთი სპეციალობა, რომლის შესახებ მოსწავლეებს ნაკლები ინფორმაცია გაქვთ – ასეთია ეკონომიკა და ბიზნესი.

სკოლაში სწავლის დროს საუნივერსიტეტო ცხოვრების გაცნობის კარგი გზა ინფორმაციის მიწოდებაა. ამ ცნობარში გაგაცნობთ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს, მოგაწვდით მათ შესახებ სრულ ინფორმაციას, გიჩვენებთ სპეციალობის დაუფლების გზას და დაგეხმარებით მეტი ობიექტურობით შეაფასოთ საკუთარი პროფესიული პერსპექტივა და სწორად

გადაწყვიტოთ შესაფერისი სასწავლებლის არჩევა. თქვენ მიიღებთ სრულ ინფორმაციას, თუ რა უპირატესობა აქვს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, რით არის ის გამორჩეული სხვა სასწავლო დაწესებულებებისგან და თუ რატომ უნდა გააგრძელოთ სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

გავეცნოთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, რომელიც 1968 წელს ამ შენობაში გადმოვიდა და მას შემდეგ ე.წ.მაღლივ კორპუსში გააგრძელა ფუნქციონირება.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ფილიპე გოგიჩაიშვილის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით, თბილისის უნივერსიტეტში, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტთან 1918 წელს, პირველად დაარსდა ეკონომიკური განყოფილება (საეკონომიო დარგი). ამ დროიდან დაიწყო უნივერსიტეტში ეკონომიკური დისციპ-

ლინების სწავლება: „პოლიტიკური ეკონომია“, „სტატისტიკა“, „საფინანსო მეცნიერება“, „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, „საეკონომიო მოძღვრებათა ისტორია“, „ბუხჰალტერია“.

ეკონომიკის დარგს სათავეში ედგა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი ფილიპე გოგიჩაიშვილი, რომელიც აღიარებულია საქართველოში ეკონომიკური მეცნიერებების ჩამოყალიბების ფუძემდებლად.

1922 წელს შეიქმნა სოციალ-ეკონომიკური ფაკულტეტი, ხოლო 1931 წელს ეკონომიკის ფაკულტეტი დამოუკიდებელ სტრუქტურად ჩამოყალიბდა.

გასული საუკუნის 70–80-იან წლებში თსუ-ში შეიქმნა ეკონომიკური მიმართულების 4 ფაკულტეტი: ეკონომიკის, მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის, კომერციისა და მარკეტინგის და საერთაშორისო ბიზნესის. ფაკულტეტზე დიდი ხნის განმავლობაში აქტიურად მოღვაწეობდა ბევრი გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტი.

2005 წელს ოთხი ფაკულტეტის გაერთიანების შედეგად შეიქმნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. დღეს ფაკულტეტზე 5000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. ეკონომიკის დარგში, მრავალი წლის დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, ფაკულტეტი უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას.

რას გთავაზობთ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი?

თითოეული თქვენგანი სკოლაში ცოდნას იღებს იმისთვის, რომ მომზადებული შეხვდეს ცხოვრებისეულ სირთულეებს და სწორი არჩევანი გააკეთოს. თქვენი პირველი საპასუხისმგებლო ნაბიჯი პროფესიის არჩევაა. თუ თქვენ ეკონომისტის, ეკონომიკური პოლიტიკის, სტატისტიკის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, ფინანსისტის, ბუღალტრის, მენეჯერის, მარკეტოლოგის და ა.შ. სპეციალობები გაინტერესებთ – ყურადღებით უნდა გაეცნოთ იმას, თუ რას გთავაზობთ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.

თქვენ არჩევანში არ შეცდებით, რადგან სწორედ ეს პროფესია შემდგომში თქვენი ცხოვრების ნაწილი გახდება, რითაც თქვენ ნაყოფიერ, შემოქმედებით, წარმატებულ მომავალ ცხოვრებას ჩაუყრით საფუძველს.

ეკონომიკა და ბიზნესი თანამედროვე სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, თვითკმარობის, სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელია. ეს არის პრაქტიკული და მეცნიერული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი და, ამავე დროს, ძალიან საინტერესო სფერო. „ეკონომიკა – ეს მეტად მნიშვნელოვანი დისციპლინაა, ამასთან ერთად, ეს ძალიან საინტერესო საგანია.“ წერდა მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტი პ.სამუელსონი. ის, რომ ეკონომიკა საინტერესოა, კარგად იციან ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებმა, რადგან მათ არჩევანი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მეტად საინტერესო სპეციალობებზე გააკეთეს. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები მეტად სასარგებლო და ხალისიანი ცხოვრებით იცხოვრებთ. ამისთვის თქვენ გეძლევათ საშუალება ჩაერთოთ მნიშვნელოვან სტუდენტურ აქტივობებში: მოისმინოთ უცხოელ პროფესორთა საჯარო ლექციები, სალექციო კურსები ეკონომიკასა და ბიზნესის სფეროში, სემინარები. წარმოადგინოთ პრეზენტაციები, მიიღოთ მონაწილეობა ვიქტორინებში, ოლიმპიადებში, საერთაშორისო, საუნივერსიტეტო თუ საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციებში.

ბევრი თქვენგანი მხოლოდ სკოლაში მიღებული ცოდნით არ დაკმაყოფილდება და სწავლას განაგრძობს უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ცოდნას კიდევ უფრო გაიღრმავებს. რომელი უმაღლესი სასწავლებელი ავირჩიო? ამ ცნობარით ჩვენ შევეცადეთ დაგეხმაროთ ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში. იმ შემთხვევაში თუ თქვენ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს აირჩევთ და ეკონომისტის პროფესიის დაუფლებას გადაწყვეტთ ნებისმიერ შემთხვევაში ბაკალავრიატში და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნა თქვენს თვალსაწიერს გააფართოებს და იმ უნარ-ჩვევებს შეგძენთ, რაც საშუალებას მოგცემთ მომზადებული შეხვდეთ ყველა სიახლეს, რაც შემდგომი ცხოვრების პროცესთანაა დაკავშირებული.

ცხოვრების გრძელ გზაზე ბევრი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ, როგორც მომხმარებელს, მეწარმეს, გადამხდელს და ა.შ. საქმიანობის რომელი სფეროა მეტად მომგებიანი? როგორ დავაბანდო ფული ისე, რომ მაქსიმალური შემოსავალი მივიღო? როგორია ჩემი გადაწყვეტილების შესაძლო რისკი? ამ და ბევრ სხვა კითხვაზე სწორი პასუხის პოვნაში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ლექციების მოსმენა, თემების დამუშავება, კონფერენციებში მონაწილეობა, ეკონომიკური ცოდნის გაღრმავება დაგეხმარებათ.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ორიენტირებულია სტუდენტებზე და მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკებს, სტაჟირებას და თეორიული ცოდნის პრაქტიკით გამყარებას. ამ მიზნით იგი სხვადასხვა კერძო საწარმოსა თუ სახელმწიფო სტრუქტურასთან აფორმებს მემორანდუმებს. ამის შედეგია, რომ ფაკულტეტის კურსდამთავრებულები მრავალ საჯარო დაწესებულებაში თუ კერძო სტრუქტურებში გადიან საწარმოო პრაქტიკას, სადაც საქმდებიან კიდეც.

1. კერძო საბანკო სექტორი;
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. ფინანსთა სამინისტრო;
5. სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

6. ეკონომისტთა ასოციაცია;
7. სადაზღვევო კომპანიები;
8. შემოსავლების სამსახური;
9. საქართველოს პარლამენტი და მრავალი სხვა.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი გთავაზობთ:

1.სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში!!!

ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტს შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს გაცვლით და ერთობლივ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საერთაშორისო პროგრამებში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, სტუდენტი, უნივერსიტეტის დაფინანსებით, სწავლას აგრძელებს ევროპის წამყვან უნივერსიტეტში, რაც მას საშუალებას აძლევს მოიპოვოს ორმაგი აკადემიური ხარისხი. სტუდენტებს საშუალება აქვთ ჩაერთონ ნიჭიერ სტუდენტთა პროგრამაში, რაც ითვალისწინებს სტიპენდიების გაცემას და საუნივერსიტეტო დაფინანსებას.

2. სტიპენდიებს გაცვლითი პროექტის ფარგლებში

და სხვა დაფინანსებას:

- **ერასმუს+მუნდუსის ფარგლებში გაცვლითი პროგრამის სტიპენდიები;**
- **DAAD-ის კვლევითი სტიპენდია;**
- **სტუდენტური სტიპენდიები;**

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის სემესტრულად ხუთი თვის განმავლობაში ყოველთვიურად გაიცემა 150 ლარის ოდენობის სტიპენდია. საშუალოდ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ყოველ სემესტრში გამოიყოფა 145 სტიპენდია. სტიპენდიატთა შერჩევას ახორციელებს ფაკულ-

ტეტზე შექმნილი კომისია და კრიტერიუმად გათვალისწინებულია მაღალი აკადემიური მოსწრება **(GPI),** კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო აქტიურობა და ნაშრომების გამოქვეყნება**.**

უნივერსიტეტი საკუთარი ბიუჯეტიდან, ყოველ სემესტრულად მაგისტარტურის და ბაკალავრიატის სტუდენტებზე გასცემს საუნივერსიტეტო დაფინანსებას. გაცემული გარკვეული რაოდენობის თანხით, სტუდენტს შეუძლია გადაიხადოს მხოლოდ სწავლის საფასური. სტიპენდიის განაწილების დროს, ამ შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება მხოლოდ მაღალი აკადემიური მოსწრება **(GPI).**

3.თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „სწავლის ხელშეწყობის ფონდი“ http://lpf.ge.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ორიენტირებულია მაღალრეიტინგულ სტუდენტებზე, ვისაც პროფესიულ განათლებასა და კარიერაში წარმატების მიღწევა სურს.

2014 წლიდან, თსუ-ში მხოლოდ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დაფუძნებულია „სწავლის ხელშეწყობის ფონდი“. ფონდის დამფუძნებლები არიან ფაკულტეტის პროფესორები: დავით ნარმანია, ეკა ჩოხელი, მანანა ხარხელი. ფონდის მიზანია ფინანსურად დაეხმაროს ხელმოკლე და სოციალურად დაუცველ ისეთ სტუდენტებს, რომლებსაც სწავლაში მაღალი რეიტინგი აქვთ და არიან წარმატებულნი. ეს გამოიხატება სწავლის საფასურის გადახდაში, სტიპენდიის დანიშვნაში ან სხვა მატერიალური მხარდაჭერის აღმოჩენაში. ეს არის სტიმული სტუდენტებისათვის კარგად ისწავლონ და ფინანსურად ხელმოკლე ოჯახებიდან სტუდენტებმა იძულებით არ შეწყვიტონ განათლების მიღება. დაფინანსება ხდება წელიწადში ორჯერ, გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრებში. ფონდში შექმნილია კომისია, რომელიც ღიად და გამჭვირვალედ იღებს გადაწყვეტილებებს, სტუდენტთათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ.

თავისი სამწლიანი არსებობის პერიოდში (2014-2017წწ) ფონდმა ფინანსური დახმარება გაუწია 130 სტუდენტს. ფონდი მომავალშიც გააგრძელებს თავის საქმიანობას და ფინანსურად დაეხმარება ხელმოკლე ოჯახებიდან გამოსულ წარჩინებულ სტუდენტებს.

ფაკულტეტზე ორი ძირითადი მიმართულებაა და სასწავლო პროცესს განაგებს თოთხმეტი კათედრა:

- **ეკონომიკის მიმართულების კათედრები:**

1. თეორიული ეკონომიკა;
2. მიკროეკონომიკა;
3. მაკროეკონომიკა;
4. საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია;
5. ეკონომიკური პოლიტიკა;
6. ეკონომეტრიკა;
7. ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა.

თეორიული ეკონომიკის კათედრის პროფესორები

მიკროეკონომიკის კათედრის პროფესორები



მაკროეკონომიკის კათედრის პროფესორები

ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის პროფესორები

ეკონომიკური პოლიტიკის კათედრასთან არსებული **ქართულ-გერმანული ინსტიტუტი (GDI).** ფაკულტეტზე დაარსდა 2006 წელს. კათედრის პროფესორებთან ერთად იგი წარმატებით ახორციელებს ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას. ინსტიტუტი აქტიურად თანამშრომლობს ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ვოლფგანგ ვენგი), ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი გიუნტერ ფალტინი), ცუკუბას (იაპონია) უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ნეანტრო საავედრა-რივანო), პოტსდამის უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ანგელა მიკლეი), მეცნიერებისა და პოლიტიკის ფონდის საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების გერმანულ ინსტიტუტთან (წარმომადგენელი პროფესორი უვე ჰალბახი).

აღნიშნული თანამშრომლობის პროგრამა, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დამწყები მეწარმეებისათვის სერვის ცენტრის შექმნისა და ასევე სხვა მრავალ აქტივობებთან ერთად მოიცავს, ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტების გერმანიაში, კერძოდ, ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ პრაქტიკაზე მივლინებას, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას გახდნენ მაღალი დონის განათლებული პროფესიონალები.

ეკონომიკური პოლიტიკის კათედრისა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის ინიციატივით და ორგანიზებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2009, 2011 და 2014 წლებში ჩატარდა სამი საერთაშორისო ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორუმი. უცხო ქვეყნიდან მოწვეული პროფესორების მიერ, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის ინტენსიურად ტარდება ლექციები ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.

საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის პროფესორები

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის პროფესორები

ეკონომეტრიკის კათედრის პროფესორები

- **ბიზნესის მიმართულების კათედრები:**

1. ფინანსები და საბანკო საქმე;
2. ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი;
3. საერთაშორისო ბიზნესი;
4. მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
5. მარკეტინგი;
6. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი;
7. ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკასა და ბიზნესში.

ფინანსები და საბანკო საქმის კათედრის პროფესორები

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის პროფესორები

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრასთან არსებული ლაბორატორია



2017 წელს ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრასა და შპს „BDO"-სთან გაფორმდა მემორანდუმი. ამ ურთიერთობის შედეგია ის, რომ ბუღალტრული აღრიცხვის სტუდენტები ყოველწლიურად უსასყიდლოდ გადიან სტაჟირებას ამ მნიშვნელოვან ორგანიზაციაში და პრაქტიკულად სწავლობენ ფინანსური ანალიზის, აუდიტის და სხვ. ფინანსური ოპერაციების წარმოებას. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ლაბორატორია, სადაც ეკონომიკისა და

ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორები სტუდენტებს უფასოდ სთავაზობენ BDO-ს მაღალი სტანდარტების სასერტიფიკაციო ტრენინგ პროგრამების შესწავლას, რათა ხელი შევუწყოთ ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების ჩამოყალიბებას. ლაბორატორიის მიზანია ცოდნის და გამოცდილების გაზიარება მათთვის, ვისაც პროფესიულ განათლებასა და კარიერაში წარმატების მიღწევა სურს.



საერთაშორისო ბიზნესის კათედრის პროფესორები

მენეჯმენტის და ადმინისტრირების კათედრის პროფესორები

მარკეტინგის კათედრის პროფესორები

ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის პროფესორები

კათედრასთან არსებული ინოვაციური ინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო ლაბორატორია



ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის პროფესორები

ტურიზმის სკოლა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ტურიზმი“ წარმოდგენილია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ტურიზმის სკოლისა“ და ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის სახით. ტურიზმის სკოლა დღემდე წარმატებით ახორციელებს ტურიზმის ადმინისტრირების საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამას. მნიშვნელოვანია კავშირურთიერთობა ტურისტულ საწარმოებთან, რითაც კათედრა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკას და შემდგომ მათ დასაქმებას. აღსანიშნავია, რომ ტურიზმის სკოლის არაერთმა კურსდამთავრებულმა მოიპოვა დაფინანსება და სწავლას აგრძელებს ევროპის უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამებზე.

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ინგლისურენოვანი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა **ISET - თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა.**

აისეტის – **ISET** მიზანი პროფესიონალი ეკონომიკური კადრების, ეკონომიკის ბაკალავრების და მაგისტრების გაზრდაა. აისეტის-ში ეკონომიკასა ერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაშ ისწავლება. სტუდენტები სწავლობენ ანალიტიკური კუთხით გადაწყვეტილების მიღებას მონაცემების, მათემატიკური და მოდელირების ხერხების გამოყენებით. სტუდენტებს, ხარისხის მოპოვების შემდეგ, თავისუფლად შეუძლიათ დასაქმდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებში, სამთავრობო და კერძო სექტორში, ასევე კვლევით დაწესებულებებში.

აისეტის - **ISET** ლექტორები მხოლოდ მოწვეული, მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები არიან.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა

ფაკულტეტზე სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე, ქართული და უცხოენოვანი ახალი სასწავლო სახელმძღვანელოებით. სტუდენტებისათვის სხვა ყველა საჭირო სახელმძღვანელო ლიტერატურა განთავსებულია ფაკულტეტის კეთილმოწყობილ ბიბლიოთეკაში, აქვეა სამკითხველო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და ემსახურება სტუდენტებს.



ფაკულტეტზე გამოიცემა და იბეჭდება

რეფერირებადი ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, სადაც პროფესორების გვერდით ქვეყნდება სტუდენტთა შრომები.



თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სამი ძირითადი ლაბორატორია

1. **თსუ-ის Bloomberg-ის ფინანსური ბაზრების ლაბორატორია;**
2. **თსუ-ის ფაბლაბი;**
3. **ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორია.**

ასევე კომპიუტერული და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი **რესურსცენტრები**, ბიბლიოთეკა კეთილმოწყობილი სამკითხველო დარბაზით. ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის საკონფერენციო აუდიტორია და სხვ. ახალგარემონტებული აუდიტორიები თუ სხვა ლაბორატორიები.

თსუ-ის Bloomberg-ის ფინანსური ბაზრების ლაბორატორია

Bloomberg-ის ისტორია იწყება 1981 წლიდან. იგი დააარსა მაიკლ ბლუმბერგმა. ეს არის მსოფლიოს წამყვანი, ფინანსური ინფორმაციის მიმწოდებელი კომპანია, რომლის მომხმარებელთა ძირითად წრეს კორპორაციები– ემიტენტები, შუამავალი საფინანსო დაწესებულებები და ინსტიტუციონალური ინვესტორები, ასევე ინვესტიციების და სახსრებისა და აქციების მართვის მენეჯერები წარმოადგენენ. Bloomberg მსოფლიო საფინანსო და საფონდო ბირჟის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს აშუქებს. Bloomberg-ის ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის შემადგენლობაში შემდეგი ელემენტები შედის: ტექნიკური ანალიზის საშუალებები; მონაცემების გრაფიკული სახით წარმოდგენის საშუალებები; ინვესტიციების ალტერნატიული ვარიანტების შეფასებები; საინვესტიციო პორტფელის ოპტიმალური სტრუქტურის, პროგნოზირების და რისკების მინიმიზაციის მოდელირება. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ Bloomberg-ის პროგრამის საშუალებით პირდაპირი წვდომაა შესაძლებელი მსოფლიოს წამყვანი ბირჟების მონაცემთა ბაზაზე. სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ საქმიანი და ფინანსური ახალი ამბების, მონაცემების, ანალიტიკისა და კვლევების წამყვანი მსოფლიო პლატფორმა, რომელსაც იყენებს 320 ათასზე მეტი ბიზნესლიდერი და ფინანსური პროფესიონალი მსოფლიოში. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის მიმართულების სტუდენტები გათვითცნობიერებული არიან უახლეს ტენდენციებში, რომელიც ხდება ფინანსურ ბაზრებზე, იღებენ პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას. ამასთანავე, მკვლევარ სტუდენტებს აქვთ წვდომა ინფორმაციის მსოფლიო ბაზაზე, რომელიც ზოგჯერ საკმაოდ შეზღუდული და რთული მოსაძიებელია.

Bloomberg-ის ფინანსური ბაზრების ლაბორატორია აქვს იელის, ჰარვარდის, ოქსფორდის, კემბრიჯის უნივერსიტეტებს, ლონდონის ბიზნეს სკოლას და სხვა. აღმოსავლეთ ევროპაში მსგავსი ლაბორატორია აქვს მხოლოდ კაუნასის უნივერსიტეტსა და თსუ-ს. შესაბამისად, თსუ-ის სტუდენტებს აქვთ საშუალება ფინანსური განათლება მიიღონ და გაიარონ პრაქტიკული კურსი იმ თანამედროვე მეთოდებით, რომელიც დანერგილია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. ამჟამად უნივერსიტეტს აქვს 12 კომპიუტერის ბაზაზე შექმნილი Bloomberg-ის ფინანსური ბაზრების ლაბორატორია.

თსუ-ს ფაბლაბის შესახებ

ფაბლაბი (სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია) თსუ-ში შეიქმნა 2015 წელს თბილისის მერიის მხარდაჭერით. მისი მიზანია სტუდენტების ინოვაციური იდეების გენერირება და გამოგონებების შექმნა. ფაბლაბი თსუ-ის სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩამოაყალიბონ და რეალობად აქციონ საკუთარი ბიზნესიდეები, პირველი ნაბიჯები გადადგან საკუთარი Start-Up ბიზნესის დასაწყებად. FabLab TSU-ში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ წარმოადგინონ ან ადგილზე შეიმუშაონ სასურველი პროდუქტის ნახაზები, შემდეგ კი უნიკალური, მაღალტექნოლოგიური და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნან პროდუქტის პროტოტიპები.



FAB LAB BSU აღჭურვილია შემდეგი თანამედროვე ციფრული ტექნიკით:

1. 3D პრინტერებით:

ა. uPrint 3D

ბ. Dual Extruder



2. Epilog Fusion – ლაზე-
რული დანადგარი.

3.UV Printer – ულტრაიისფერი სხივით ბეჭდვა
ლამინირებისთვის

4. CNC დანადგარი

ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორია

2016 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შეიქმნა მუდმივმოქმედი სამეცნიერო-კვლევითი ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორია, რომლის მიზანია ადამიანური პოტენციალის, ტალანტის მართვა და ამ მიმართულებით მეცნიერული, თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების შექმნა. საკუთარი და სხვათა ნიჭის უნარების გამოვლენა და რეალიზების შესაძლებლობები. ასევე ლაბორატორიაში ხორციელდება სამეცნიერო კვლევები და ტრენინგ-კურსები. ამ ეტაპზე მოქმედებს სასერტიფიკატო ტრეინინგ-კურსი „ლიდერობა – მართვის ხელოვნება“, სადაც ფაკულტეტის ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია დაეუფლოს ლიდერულ უნარ-ჩვევებს და კურსის შესწავლის შემთხვევაში მიიღოს ცოდნის შესატყვისი სათანადო სერთიფიკატი. ლაბორატორიაში ასევე პერიოდულად ტარდება საჯარო ლექციები დაინტერესებული ჯგუფებისთვის. ლაბორატორიაში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ სტუდენტს, სადაც მათ შესაძლებლობათ ეძლევა თავად შეარჩიონ მათთვის სასურველი აქტივობა, ჩაერთონ პროექტების განხორციელებასა და მართვაში.

კურსის მიზანია მსმენელს ჩამოუყალიბოს დ განუვითაროს შემდეგი უნარები:

1. ლიდერული უნარ-ჩვევები;
2. ორგანიზაციაში ლიდერობის სტრატეგიის ფორმირების;
3. პრობლემის გადაწყვეტის და შედეგზე ორინტაციის;
4. არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის;
5. კონფლიქტების მართვის;
6. მართვის ეფექტური სტრატეგიის შემუშავებისა და პრაქტიკულად განხორციელების;
7. ცვალებად გარემოში მართვისა და მანევრირების;
8. გუნდური მუშაობის;
9. დროის დაგეგმვისა და მართვის;
10. ცოდნის გააზრების, მოტივაციისა და პრაქტიკაში გამოყენების.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სამი თანამედროვე კომპიუტერული რესურსცენტრი

ცენტრებში, გარდა იმისა, რომ ტარდება ლექციები ინფორმატიკულ მეცნიერებებში, სტუდენტებს საშუალება აქვთ დამოუკიდებლად იმუშაონ და გაიფართოონ თავიანთი უნარები კომპიუტერულ მეცნიერებებში.

ფაკულტეტზე მუშაობს ახლადგარემონტებული, კეთილმოწყობილი სტუდენტური სასადილო, რომელიც ემსახურება მაღლივი კორპუსის პროფესორებს და სტუდენტებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ერთ-ერთი დიდი ფაკულტეტია, სადაც სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს ეკონომიკისა და ბიზნესის მეცნიერებათა ყველა ძირითადი მიმართულებით.

ფაკულტეტი გთავაზობთ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე:

- **ბაკალავრიატი** (240 კრედიტი, 8 სემესტრი);
- **მაგისტრატურა** (120 კრედიტი, 4 სემესტრი);
- **დოქტორანტურა** (180 კრედიტი, 6 სემესტრი).

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სამი საბაკალავრო პროგრამა:

1. ეკონომიკის ბაკალავრი;
2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
3. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში.

1. **ეკონომიკა Economics**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის ბაკალავრი

BA in Economics

საბაკალვრო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, სტუდენტებს მისცეს თეორიული ცოდნა ეკონომიკის კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და მათი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ, გამოუმუშავოს ცვალებად ეკონომიკურ გარემოში ანალიზისა და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევები.

სწავლის შედეგი

ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი ენიჭება კურსდამთავრებულს, რომელსაც აქვს:

- დარგობრივი ზოგადი და საბაზო ცოდნა ფუნდამენტურ და სპეციალურ ეკონომიკურ დისციპლინებში და შეუძლია მისი პრაქტიკაში გამოყენება ეკონომიკის მიმართულებებით;
- ეკონომიკური საკითხების კრიტიკულად გააზრების უნარი;
- საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარი;
- გლობალური ხედვა და ეკონომიკური მოვლენების კომპლექსურად შეფასების უნარი;
- ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევები;
- დასკვნების დასაბუთების უნარი.

დასაქმების სფეროები

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს ეკონომისტად და ექსპერტად სახელმწიფო და ბიზნეს სტრუქტურებში.

კურსდამთავრებულის დასაქმების ობიქტები:

- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
- საქართველოს პარლამენტის აპარატი;
- საქართველოს მთავრობის კანცელარია;
- ეკონომიკური პროფილის სამინისტროები და უწყებები;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ფინანსთა სამინისტრო;
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
- საქართველოს ეროვნული ბანკი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური;
- ბანკები და სხვა ფინანსური დაწესებულებები;

- სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბირჟები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები და ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მოდულები:

1. ეკონომიკური პოლიტიკა და დიპლომატია;
2. მაკროეკონომიკა;
3. საერთაშორისო ეკონომიკა;
4. მენეჯერული ეკონომიკა;
5. ეკონომეტრიკა და მატემატიკური ეკონომიკა;
6. ეკონომიკური სტატისტიკა;
7. შრომის ეკონომიკა.

2. ბიზნესის ადმინისტრირება Business Administration

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი - Bachelor of Business Administration

საბაკალვრო პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია: აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტთა მომზადება, რომლებიც ბიზნეს-პროცესებისა და ბიზნეს-ორგანიზაციების ეფექტიან მართვას შეძლებენ, სტუდენტს მისცეს ზოგადი თეორიული განათლება, მმართველობითი საქმიანობის თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები,

პროგრამა იძლევა საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებისა და ბიზნესის სხვადასხვა სფეროში დასაქმების შესაძლებლობას.

სწავლის შედეგი

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი ენიჭება კურსდამთავრებულს, რომელსაც აქვს:

- ბიზნესის მართვის ძირითადი პრინციპების დეტალურად ჩამოყალიბების უნარი;
- ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესებისა და ბიზნეს–გარემოს ანალიზის უნარი;
- ბიზნესის ადგილისა და როლის შეფასების უნარი;
- ორგანიზაციაში პროცესების მართვის ძირითადი უნარები;
- მმართველობითი თუ ფინანსური პრობლემების აღმოჩენისა და მათი გადაჭრის გზების ძიების უნარი;
- ძირითადი მარკეტინგული უნარები;
- ბაზრის კვლევისა და მოთხოვნის პროგნოზირების უნარი
- რეკლამირების და სხვა განსაზღვრის უნარი;
- მიკრო და მაკროეკონომიკური ფაქტორების (საფინანსო და ფულადი სისტემა, შიდა და გარე ბაზრები და სხვ) განსაზღვრის უნარი;
- ბიზნეს-პროექტების შემუშავების უნარი.

დასაქმების სფეროები

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დაიკავოს ქვედა და საშუალო რგოლების მენეჯერის (კადრების, გაყიდვების, ფინანსური, რისკების, წარმოების, პიარ მენეჯერი) თანამდებობა ნებისმიერი სფეროს საჯარო თუ კერძო დაწესებულებებში, საერთაშორისო და ეროვნულ ფირმებში, მათ შორის ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებში, მარკეტინგულ ფირმებში, ეკონომიკის დარგის ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებში და ა.შ.

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კურსდამთავრებულის დასაქმების ობიქტები:

- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
- საქართველოს პარლამენტის აპარატი;
- საქართველოს მთავრობის კანცელარია;
- ეკონომიკური პროფილის სამინისტროები და უწყებები:
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ფინანსთა სამინისტრო;
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
- საქართველოს ეროვნული ბანკი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური;
- ბანკები და სხვა ფინანსური დაწესებულებები;
- სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბირჟები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები და ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მოდულები:

1. ბუღალტრული აღრიცხვა;
2. მარკეტინგი;
3. მენეჯმენტი;
4. ფინანსები და საბანკო საქმე;
5. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი;
6. საერთაშორისო ბიზნესი
7. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი.

3. **ტურიზმი Tourism.**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში - BBA in Tourism.

საბაკალავრო პროგრამის მიზანი

ტურიზმის საბაკალავრო სწავლება წარმოადგენს ტურიზმის სპეციალისტების მომზადებისა და საშუალო დონის მენეჯერული უნარების განვითარება–გაღრმავებაზე ორიენტირებულ პროგრამას. მისი მიზანია სტუდენტების მომზადება კვალიფიციურ სპეციალისტებად. პროგრამა სტუდენტებს აძლევს იმ ცოდნას, რომელიც მათ ესაჭიროებათ ტურიზმის ინდუსტრიისა და მენეჯმენტის შესწავლისათვის. პროგრამა მიმართულია მენეჯერული და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, რაც მოეთხოვება ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სპეციალისტებს.

პროგრამა ითვალისწინებს ორ არჩევით სპეციალობას – „ტურიზმის მენეჯმენტი“ და „სასტუმროს მენეჯმენტი“ .

სწავლის შედეგი

ტურიზმის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი ენიჭება კურსდამთავრებულს, რომელსაც აქვს:

- ტურისტული ორგანიზაციის მართვის უნარი;
- მარკეტინგისა და გაყიდვების მენეჯმენტის ცოდნა;
- კადრების მართვის ცოდნა;
- ფინანსებისა და ბუღალტერიის ცოდნა;
- ორგანიზაციის სტრუქტურის აგების უნარი;
- ბიუჯეტის შედგენის ცოდნა;
- დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;
- ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი.

დასაქმების სფეროები

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრებს ტურიზმში შეუძლიათ დასაქმდნენ საქართველოში ტურიზმის მიმართულების მრავალ დაწესებულებაში, კერძო ფირმებსა და სააგენტოებში.

დასაქმების ობიქტები:

- სპეციალიზებულ ტურ-ოპერატორ კომპანიები;
- კურორტის მენეჯმენტის კომპანიები – კონვენციებისა და ვიზიტორთა ბიუროს მენეჯერის თანამდებობაზე;
- საჯარო სექტორისა და ეროვნული ტურიზმის ორგანიზაციები;
- სასტუმრო ქსელები – საკვებისა და სასმელის მენეჯერის, საკონვენციო მენეჯერის, გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერის, ფრონტ-დესკის მენეჯერის, ოთახების განხრის მენეჯერის და სხვა პოზიციებზე.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მოდულები:

1. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი;
2. ტურიზმის ეკონომიკა;
3. ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი.

პროფესიული სწავლება ტურიზმში

- აგროლოჯისტიკის ოპერატორი IV საფეხური;
- აგროლოჯისტიკის ოპერატორი V საფეხური;
- სასტუმრი და საკურორტო მენეჯმენტი;
- ტურიზმის მენეჯმენტი.

ტურიზმის პროფესიული (მოდულური) პროგრამები:

- საბირჟო საქმის სპეციალისტი;
- სასტუმრო საქმის სპეციალისტი;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი;
- ტუროპერატორი;
- შემფასებელი.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სკოლებთან თანამშრომლობა!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2008 წელს ჩამოყალიბდა საბავშო უნივერსიტეტი, რომლის ძირითადი ფუნქციაა მაღალი კლასების მოსწავლეებისათვის მომავალი პროფესიის გაცნობიერებული არჩევანის ხელშეწყობა, თსუ-ის ისტორიისა და მიღწევების გაცნობა, უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლება და მისი საქმიანობის პოპულარიზაცია აბიტურიენტთა მოზიდვის მიზნით. საბავშო უნივერსიტეტში გაერთიანებულია ნორჩთა საფაკულტეტო სკოლები, მათ შორის მნიშვნელოვანია თსუ „ნორჩი ეკონომისტის“ სკოლა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2008/09 სასწ.წ. პირველად ჩამოყალიბდა საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი „ნორჩი ეკონომისტის“ სკოლა, სადაც გაერთიანებული არიან თბილისის და მისი გარეუბნების სკოლების IX, X და XI კლასის, ეკონომიკის შესწავლით დაინტერესებული მოსწავლეები. თსუ „ნორჩი ეკონომისტის“ სკოლა უკვე ცხრა წელია ინტენსიურად ფუნქციონირებს და მოსწავლეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. სკოლის უმთავრესი მიზანია ეკონომიკური მეცნიერების პოპულარიზაცია, მოსწავლე-ახალგაზრდების ცოდნის დონის ამაღლება და საუნივერსიტეტო სივრცეში მათი სამომავლო ინტეგრაციის ხელშეწყობა.

უნივერსიტეტში ყოველი წლის ოქტომბერში ტარდება ღია კარის დღე და ხდება მოსწავლეების რეგისტრაცია. ისინი ყოველ შაბათს ისმენენ ლექციებს, რომელსაც კითხულობენ უნივერსიტეტის პროფესორები. მოსწავლეები ეცნობიან: ეკონომიკურ პროცესების მიმდინარეობას ფირმებში, სახელმწიფოში თუ მსოფლიოში, გლობალიზაციის პროცესების თა-

ვისებურებებს. ეკონომიკური აზროვნების და რაციონალური გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობას, ალტერნატიულ დანახარჯებს და სხვ. მნიშვნელოვან თემებს, რომელიც მათ სამომავლოდ ცხოვრებაში შეიძლება გამოადგეთ. სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეები ჩართულნი არიან სკოლის საინტერესო მუშაობაში: ეწყობა გასვლითი ლექციები, სამეცნიერო კონფერენციები. წლის ბოლოს კი ტარდება სკოლის საზეიმო გამოშვება, სადაც ხდება წარმატებულ მოსწავლეთა გამოვლენა, მათი დაჯილდოება სერთიფიკატებით და სამახსოვრო საჩუქრებით.

თსუ „ნორჩი ეკონომისტის“ სკოლამ 2016 წელს მოიპოვა გრანტი და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ჩაატარა მოსწავლეთა გასვლითი სამეცნიერო კონფერენცია თელავში, რასაც დიდი რეზონანსი მიეცა: გაშუქდა ტელევიზით, კონფერენციას დაესწრნენ საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ასევე სხვა მოწვეული საპატიო სტუმრები. კონფერენციის საზეიმო დახურვის ცერემონიაზე აღინიშნა მოსწავლეთა და პროფესორთა ჩართულობისა და მათი ერთობლივი წარმატებული მუშაობის მნიშვნელობა.

2017 წელს მეორედ მოპოვებული გრანტის ფარგლებში, გარდა თბილისის და რუსთავის სკოლების მოსწავლეებისა, სამაჩაბლოს კონფლიქტური ზონის საზღვრისპირა სოფლებიდან მოხდა რამდენიმე სკოლის მოსწავლეთა ჩართვა ეკონომიკური მაცნიერებების საფუძვლების შესწავლის საქმეში.

თსუ „ნორჩი ეკონომისტის“ სკოლა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თავისი ცხრაწლიანი მუშაობის განმავლობაში, მოსწავლეებს უფასოდ სთავაზობს სკოლის საინტერესო და მნიშვნლოვან საქმიანობაში ჩართულობას!!!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზანია სისტემურობის და უწყვეტობის პრინციპებზე დაფუძნებული მაღალხარისხიანი, ხელმისაწვდომი და თანამედროვე დონის ეკონომიკური და ბიზნეს-განათლების უზრუნველყოფა. შრომის საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ფართოდ აღებს კარს მათთვის, ვისაც სურს მიიღოს მაღალი განათლების კვალიფიკაცია და შრომის საერთაშორისო ბაზარზე იყოს კონკურენტუნარიანი, წარმატებული პროფესიონალი თავის საქმიანობაში. ამისთვის კი ფაკულტეტი აკეთებს და ქმნის ყველა პირობას, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტებს შეიძინონ თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნა და განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები.

ჩვენი მისამართი



მისამართი: საქართველო, თბილისი 0186,
უნივერსიტეტის ქ. N2, **თსუმე-10 (მაღლივი) კორპუსი**

ტელეფონი: +993 2 30 36 71

https://www.tsu.ge/ge/faculties/economics

გამოცემაზე მუშაობდა
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
მთავარი სპეციალისტი **მარინა უკლება**

დაკაბადონება და დიზაინი
მარიამ ებრალიძე